ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №17
2022 წლის 25 აგვისტო

ქ. ამბროლაური

„ამბროლაურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების პროგრამისა და მიზნობრივი დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 დეკემბრის №19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

„ამბროლაურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების პროგრამისა და მიზნობრივი დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 დეკემბრის №19 დადგენილებით (www.matsne.gov.ge; 20/12/2021, სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.117.016501) დამტკიცებულ დანართში შევიდეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-4 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,1. დახმარება გაეწევა ამბროლაურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ პირებს, რომელთა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100 000 -ს (ასი ათასი) (გარდა 0-18 წლამდე ბავშვებისა და მე-4 პუნქტის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტით მოსარგებლე ბენეფიციარებისა).''

2. მე-4 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,2. ბენეფიციარი დაფინანსდება ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან:

ა) მე-4 პუნქტის „ა“, „ბ“, “დ“, “ე“, ქვეპუნქტების შემთხვევაში წლიური ლიმიტით არაუმეტეს 500 (ხუთასი) ლარისა;

ბ) მე-4 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შემთხვევაში წლიური ლიმიტით არაუმეტეს 800 (რვაასი) ლარისა;

გ) მე-4 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შემთხვევაში წლიური ლიმიტით არაუმეტეს 1500 (ათას ხუთასი) ლარისა;

დ) მე-4 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის შემთხვევაში წლიური ლიმიტით არაუმეტეს 800 (რვაასი) ლარისა.“

3. მე-4 მუხლის მე-4 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ზ“ ქვეპუნქტი:

,,ზ) აორტოგრაფია".

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — ასლან საგანელიძე